ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3112108

ნომერი: AR1479959

თარიღი : 20.02.2017

გაცემის თარიღი : 28.02.2017

გაცნობის თარიღი : 06.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 23 , მიმდებარედ ნაკვეთი 25/162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის

20 თებერვლის №AR1479959 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამრეკელის ქუჩა #23–ის მიმდებარედ, ნაკვ. #25/162, შპს ,,სანკო"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.14.02.025.162) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 17 თებერვლიდან 2017 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: დამკვეთის მიერ წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის თანახმად, განმცხადებელი ითხოვდა მშენებლობის ვადის 12 თვით გაგრძელებას, ხოლო სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებაში მშენებლობის ვადად „2017 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 17 თებერვლის ჩათვლით“ ნაცვლად მითითებულია „17.02.16 წ-დან 17.02.2017 წ-ის ჩათვლით“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა გაასწოროს სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და მშენებლობის ვადად „2016 წლის 17 თებერვლიდან 2017 წლის 17 თებერვლის ჩათვლით“ ნაცვლად მიუთითოს „2016 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის №3103913 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: "2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2017 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 17 თებერვლის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 18 თებერვლის № 3103913 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.